

ახალი მე ...

ჩემი სხეული საერთოდ არ უხდება ჩემს სულს , რაღაცნაირად ბანალურია. მას შემდეგ რაც შეგნების ორიოდე ნაპერწკალი გამიჩნდა დისკომფორტს ვგრძნობ. მახსოვს ერთხელ თერთმეტი წლის რომ ვიყავი ნინო მომეწონა. ხავერდოვანი შავი თმები მაყვალივით ეფანტა მხრებზე , თვალები ალუბლის მურაბისფერი ქონდა. ყოველ დღე ვაკვირდებოდი , ჩემს წინ იჯდა , დიდი გონებამახვილობით არ გამოირჩეოდა მაგრამ ყველაზე ნაზი, თბილი და კეთილი იყო. ვაკვირდებოდი ნინოს , მერე ჩემს თავს , მერე ისევ ნინოს. ვხვდებოდი რომ ასეთ სხეულში მისი სიყვარულის უფლება არ მქონდა... სკოლა დავამთავრეთ, მე კი ისევ იმ ფიქრებით ვიყავი შეპყრობილი , ჩემი ნინო. ვფიქრობდი , ძალიან ბევრს ვფიქრობდი, გამოსავალს ვეძებდი. ოთხი წელი ტანჯვაში გავატარე, ცალკე ნინოს სიყვარული მტანჯავდა და ცალკე ჩემი სხეული. ერთ დღეს უნივერსიტეტიდან მომავალს საშინელი წვიმა წამომეწია და თავი იქვე გაჩერების ბუხულას შევაფარე, ისეთი თქეში იყო ირგვლივ არაფერი ჩანდა, უეცრად ჩემს სივრცეში რაღაც არანორმალური სიგიჟით ვიღაც შემოვარდა, ორიოდე წამის შემდეგ მივხვდი - ნინო... ჩემმა დანახვამ აშკარად სიხარული მოჰგვარა, მკითხა როგორ ვიყავი, სად ვიყავი, ჩემი ოჯახი მოიკითხა, მეც რაღაც მოვახერხე წინადადებები ერთმანეთს გადავაბი და შეძლებისდაგვარად დიალოგს მხარი ავუბი. ჩემი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, თითქოს ჩემს ჯინაზე წვიმამ მალევე გადაიღო, ნინო დამემშვიდობა და ავტობუსში ავიდა. მე დავრჩი გაჩერების რკინის სკამზე ჩემს ფიქრებთან ერთად, არავინ იცის თუ როგორ მინდოდა ჩავხუტებოდი ნინოს, მოვხვეოდი ფაიფურის მხრებზე, შევხებოდი მის ბროწეულისფერ ტუჩებს, მაგრამ... ამ დამპალი სხეულის გამო არაფერი შემიძლია, მეზიზღება ჩემი გარეგანის თითოეული ნაწილი, თითქოს ჩემი სული გამომწყვდეულია, გამოსავალს ეძებს და ვერ პოულობს... იმ საღამოს ვერაფრით დავიძინე და გადავწყვიტე ტელევიზორისთვის მეყურებინა, ჩემდა ბედად რაღაც გადაცემა შემომხვდა, არ ვიცი ეს ნიშანი იყო თუ უბრალოდ დამთხვევა, მაგრამ მისი მეშვეობით იდეა დამებადა, მივხვდი რომ ეს იყო ჩემი ხსნა, ერთადერთი გამოსავალი...

ოც წუთში მომაკითხავს მანქანა, მე მივემართები ჩემი ხსნისკენ, ბედნიერი ვარ, ხვალიდან ჩემი ცხოვრების ახალი დღე, ახალი ეტაპი დაიწყება, როგორც იქნა შევძლებ მივიდე ნინოსთან, მოვხვევნი და ვეტყვი როგორ დიდხანს ველოდი ამ წამს, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება... ჰო ზუსტად ხვალ , ხვალ მე უკვე აღარ ვიქნები ანა...